**SMG სერვისები**

**მომსახურების მიწოდების პირობები**

**ძალაში შესვლის თარიღი:** 2018 წლის მარტი

წინამდებარე მომსახურების მიწოდების პირობები SMG კონფიდენციალურობის პოლიტიკის ("**პირობებთან**") ერთად ასახავს იმ წესებსა და პირობებს, რომლების მიხედვითაც Service Management Group LLC და მისი პარტნიორები ("**SMG**" ან "ჩვენ" ან "ჩვენი") გთავაზობთ წვდომას ვებგვერდებზე, მომსახურებებზე ან აპლიკაციებზე, მობილური აპლიკაციების ჩათვლით, რომლებიც დაკავშირებულია ან შეიძლება კავშირში იყოს მოცემული პირობების დოკუმენტთან (ერთობლივად წოდებული "**SMG სერვისები**").

SMG სერვისებზე წვდომისა და მათი გამოყენების წინ, ყურადღებით წაიკითხეთ წინამდებარე პირობები; ისინი წარმოადგენს SMG-სა და თქვენ შორის იურიდიულ შეთანხმებას.

ნებისმიერი SMG სერვისით სარგებლობისას, თქვენ ეთანხმებით ამ პირობებს და ადასტურებთ, რომ თქვენ სრულად შეგწევთ შესაძლებლობა და ლეგალურად გაქვთ მონაწილეობის უფლება. თუ თქვენ სარგებლობთ SMG სერვისებით თქვენი დამსაქმებლის სახელით, თქვენი თანხმობა მოცემულ პირობებზე იგივეა, რაც შეთანხმება თქვენს დამსაქმებელსა და SMG-ს შორის, და თქვენ ადასტურებთ, რომ თქვენ გაქვთ შესაბამისი უფლება ჩართოთ თქვენი დამსაქმებელი აღნიშნულ ურთიერთობებში.

მნიშვნელოვანი შენიშვნა: წინამდებარე პირობები შეიცავს დებულებებს, რომლებიც ზღუდავენ ჩვენს პასუხისმგებლობას თქვენს წინაშე და მოითხოვენ თქვენგან, რომ გადაჭრათ ნებისმიერი სახის წარმოქმნილი უთანხმოება სავალდებულო არბიტრაჟის მეშვეობით ინდივიდუალურ საფუძველზე და არა რომელიმე კლასის ან წარმომადგენლობითი მოქმედებების გზით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული დოკუმენტის შემდეგი ნაწილები, „ხელშეკრულების მოქმედების ვადა, გარანტიების უარყოფა და შეზღუდული პასუხისმგებლობა" (ნაწილი 7) და „დავების გადაჭრა" (ნაწილი 9).

**თქვენ არ გაქვთ SMG სერვისების გამოყენების უფლება თუ კი თქვენ არ ეთანხმებით მოცემული მომსახურების მიწოდების ყველა პირობებას, რომლებიც დადგენილია წინამდებარე მომსახურების გაწევის პირობებსა და SMG სერვისების კონფიდენციალურობის პოლიტიკის დოკუმენტში.**

**1. ცვლილებები პირობებში**

წინამდებარე პირობების ძალაში შესვლის თარიღი მოცემულია ამ ვებგვერდის ზედა ნაწილში. ახალ ფუნქიების დამატებისას, ჩვენ შესაძლოა შევცვალოთ ეს პირობები. SMG-ს აქვს უფლება შეცვალოს ეს პირობები ნებისმიერ დროს, მოცემული პირობების განახლების გზით. ნებისმიერი ასეთი მოდიფიკაციით თქვენ გეკისრებათ გარკვეული ვალდებულებები; აქედან გამომდინარე, თქვენ პერიოდულად უნდა ეწვიოთ ამ ვებგვერდს რომ გადახედოთ ამ პირობებს. თქვენი მხრიდან SMG სერვისების გამოყენება მას შემდეგ, რაც მოცემულ პირობებში შევა აღნიშნული ცვლილებები წარმოადგენს თქვენს თანხმობას ცვლილებებთან დაკავშირებით. პირობებში შეტანილი ცვლილებები აღემატება პირობების შესახებ არსებულ ყველაშეთანხმების, წინადადების ან განცხადების წინა ვერსიას, მაგრამ ცვლილებები არ ვრცელდება რეტროაქტიულად.

**2. დამატებითი პირობები**

SMG სერვისების მეშვეობით შეთავაზებული გარკვეული მომსახურებები, მათ შორის, მობილური აპლიკაციები, ლატარეები, შეთავაზებები, კონკურსები და სხვა სერვისები, შეიძლება წარმოადგენდნ დამატებითი პირობების რეგულირების სფეროს ("დამატებითი პირობები"). ასეთი მომსახურებების გამოყენებამდე უნდა დაეთანხმოთ დამატებით პირობებს. ნებისმიერი დამატებითი პირობა მოქმედებს ამ პირობებთან ერთად. თუ დამატებითი პირობების რომელიმე დებულება ეწინააღმდეგება წინამდებარე პირობების რომელიმე დებულებას, დამატებითი პირობები უპირატეს ძალაშია მხოლოდ ამ წესების შეუსაბამო ნაწილის მოცულობით.

**3. კონფიდენციალურობა/უსაფრთხოება**

SMG სერვისების გამოყენებამდე ყურადღებით წაიკითხეთ SMG-ის კონფიდენციალურობის პოლიტიკა, რომ მეტი გაიგოთ იმის შესახებ თუ როგორ ხორციელდება SMG-ის მიერ პირადი მონაცემების შეგროვება SMG-ი სერვისების მეშვეობით, როგორ ამუშავებს მათ და ვისთან ხორციელდება პირადი მონაცემების გაზიარება. SMG-ის კონფიდენციალურობის პოლიტიკის ასლი შეგიძლიათ იხილოთ აქ:

**4. SMG კონტენტი**

SMG სერვისები, მათ შორის ნებისმიერი სახის ინფორმაცია, გრაფიკული გამოსახულება, სურათები, ნამუშევრები, ტექსტი, ვიდეო რგოლები, მონაცემთა კრებულები, პროგრამული უზრუნველყოფა, აუდიო რგოლები, სასაქონლო ნიშანი, მომსახურების ნიშნები, ჟურნალი, სავაჭრო სახელები და სხვა კონტენტი რომელიც მოგეწოდებათ SMG-ის მომსახურების მეშვეობით (საერთო ჯამში, "**SMG კონტენტი**") წარმოადგენს SMG-ის, ჩვენი პარტნიორების, ლიცენზირებულების ან წარმოდგენილი კომპანიების საკუთრებას და დაცულია როგორც ამერიკის შეერთებული შტატებისა, ასევე უცხოური კანონმდებლობით საავტორო უფლებების დაცვის, სასაქონლო ნიშნის, პატენტის და სხვათა შესახებ. გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მოცემული დოკუმენტის შეზღუდული ლიცენზიების ნაწილში, ან კანონის მოთხოვნების შესაბამისად, საავტორო უფლებები, სასაქონლო ნიშნები, სხვა ინტელექტუალური საკუთრება, ისევე როგორც SMG სერვისების ნებისმიერი ნაწილი, არ შეიძლება იქნას გამოყენებული, გამრავლებული, გაყალბებული, გადაწერილი, გაყიდული, გაქირავებული, მოდიფიცირებული, ან სხვაგვარად გამოყენებული, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი მიზნით, ჩვენი წინასწარი

წერილობითი თანხმობის გარეშე. SMG-ის კონტენტის არასანქცირებულმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს საავტორო უფლებების, სასაქონლო ნიშანის და სხვა კანონების დარღვევა.

თუ თქვენ ეთანხმებით ამ პირობებს (ისევე როგორც SMG კონტენტთან დაკავშირებულ ნებისმიერ დამატებით პირობას), SMG განიჭებთ თქვენ პერსონალურ, მუდმივ, არა-ექსკლუზიურ, არა-ტრანსფერირებად და შეზღუდულ უფლებას (სუბლიცენზირების უფლების გარეშე) გაგაჩნდეთ SMG სერვისების წვდომის და გამოყენების შესაძლებლობა, ისევე როგორც უფლებას ჩამოტვირთოთ, ამობეჭდოთ და/ან დააკოპიროთ SMG კონტენტი პირადი გამოყენების მიზნით. თქვენ აცნობიერებთ, რომ SMG სერვისებში არსებული კომერციული საიდუმლოება და ინტელექტუალური საკუთრება არ არის თქვენთვის ლიცენზირებული ან არ ექვემდებარება მათ სხვაგვარ თქვენდამი გამჟღავნებას. თქვენ აცნობიერებთ, რომ HTML კოდი, რომელსაც SMG ქმნის მოცემული სერვისების ვებგვერდების შესაქმნელად დაცულია SMG-ის საავტორო უფლებებით. ყველა უფლება, რომელიც არ არის პირდაპირ ასახული მოცემულ დოკუმენტში, მაინც არის დაცული SMG-ის მიერ.

თქვენ თანახმა ხართ, რომ თუ SMG არ უზრუნველყოფს თქვენთვის წინასწარი წერილობით თანხმობას, თქვენ <u>არ</u> გაქვთ უფლება, რომ:

ა. გამოიყენოთ SMG-ის ნებისმიერი კონტენტი ნებისმიერ სხვა საქმიანობაში (როგორიც არის თქვენი ვებ-გვერდი) ან გამოიყენოთ SMG-ის კონტენტი ნებისმიერ საჯარო ან კომერციული მიზნით;

ბ. შეცვალოთ საავტორო უფლებები, სასაქონლო ნიშნები ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, რაც შეიძლება იყოს SMG-ის კონტენტის ნაწილი; ან

გ. განახორციელოთ "დიფ ლინკი" ნებისმიერი SMG სერვისისთვის (ანუ განახორციელოთ გადამისამართება, SMG სერვისების ნებისმიერ გვერდზე გარდა მთავარი გვერდისა).

SMG სერვისების მეშვეობით წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნები, ლოგოები და სერვისის ნიშნები ("ნიშნები") ეკუთვნის SMG-ს ან მესამე მხარეს. თქვენ გეკრძალებათ ნიშნების გამოყენება SMG-ის ან მესამე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. თუ გსურთ მიიღოთ ინფორმაცია, თუ როგორ მოიპოვოთ SMG-ის ნებართვა SMG-ის კონტენტის გამოყენებაზე,დაგვიკავშირდით ელ. ფოსტის მისამართზე privacyofficer@smg.com.

**5. SMG სერვისების გამოყენება**

5.1. <u>დასაშვებობა</u>: SMG სერვისები არ არის განკუთვნილი მცირეწლოვან ასაკში მყოფი ბავშვების მიერ გამოსაყენებლად, ან მათთვის, ვისი ასაკიც საკუთარი საცხოვრებელი ქვეყანის კანონმდებლობის მიერ არის იურიდიულად შეზღუდული, რათა უზრუნველყონ მათი თანხმობა პირადი მონაცემების დამუშავებაზე. თუ თქვენ არ იმყოფებით თქვენს ქვეყანაში ნებადართულ ასაკში, თქვენ არ შეგიძლიათ გამოიყენოთ SMG სერვისები.

5.2. <u>თქვენი ანგარიში:</u> SMG სერვისების გარკვეული ფუნქციების გამოყენების მიზნით, თქვენ შეიძლება მოგთხოვოთ პერსონალური ანგარიშის შექმნა (**"ანგარიში"**). თქვენ თანახმა ხართ, რომ უზრუნველყოთ ზუსტი, მიმდინარე და სრული ინფორმაციის წარმოდგენა თქვენს შესახებ. თქვენ თანახმა ხართ, რომ არ განასახიერებთ რომელიმე

პირს ან კომპანიას, ან არ გააყალბებთ თქვენს პიროვნებას ან თქვენს კავშირს რომელიმე პირთან ან ორგანიზაციასთან, მათ შორის გამოიყენებთ სხვა პირის სახელს, პაროლს ან ანგარიშის სხვა ინფორმაციას ან მიამსგავსოთ სხვა პირის სახელს, იერს, ხმას, გამოსახულებას ან ფოტოსურათს. თქვენ თანახმა ხართ,დაუყოვნებლივ გვაცნობოთ ელ. ფოსტის მისამართზე: Privacyofficer@smg.com-ზე თქვენი მომხმარებლის სახელის, პაროლის, ანგარიშის სხვა ინფორმაციის, ან ნებისმიერი სხვა დარღვევის შესახებ, რომელიც თქვენთვის ცნობილი გახდა SMG სერვისის მეშვეობით.

**ანგარიშის შექმნისას, თქვენ თანახმა ხართ, რომ SMG-ის აქვს უფლება დაგიკავშირდეთ იმ ელ. ფოსტის მისამართის გამოყენებით რაც თქვენ მიუთითეთთქვენი ანგარიშის გააქტიურებისას.**

არ დაუშვათ სხვები მიერ თქვენი ანგარიშის გამოყენება. თქვენ ხართ პასუხისმგებელი თქვენი ანგარიშის გამოყენებაზე, მათ შორის ნებისმიერი სხვა პირის მიერ მის გამოყენებაზე, რომელთაც აქვთ წვდომა თქვენს ანგარიშზე.

5.3. <u>თქვენი მოვალეობები:</u>

**თქვენი შეთანხმება მასზედ, რომ გამოიყენებთ SMG სერვისებს მხოლოდ კანონიერი მიზნებისათვის.** თქვენ თანახმა ხართ გამოიყენოთSMG სერვისები მხოლოდ კანონიერი მიზნებისათვის. თქვენ არ გამოიყენებთ SMG სერვისებს ნებისმიერი ფორმით, რომლითაც შეიძლება SMG-ის სერვერების ან ქსელების დაზიანება, გამორთვა, გადაფარვა ან გათიშვა ან ნებისმიერი სხვა მხარისთვის SMG სერვისების გამოყენების და სარგებლობის შეზღუდვა.

**თქვენი შეთანხმება მასზედ, რომ არ გამოიყენებთ SMG სერვისებს უკანონო ან არაავტორიზებული მიზნებისათვის.** თქვენ თანახმა ხართ, რომ თქვენ არ შეეცდებით განახორციელოთ არასანქცირებული წვდომა SMG სერვისებზე, სხვა მომხმარებლის ანგარიშებზე ან SMG-ის კომპიუტერული სისტემებზე ან ქსელებზე ჰაკერული შეტევების, პაროლის მაინინგის ან სხვა უკანონო საშუალებებით. ზემოაღნიშნული ნებისმიერი სახის შეზღუდვის გარეშე, თქვენ თანახმა ხართ, რომ თქვენ არ განახორციელებთ შემდეგ ქმედებებს (და არ წაახალისებთ ან დაუშვებთ მესამე მხარის მიერ ამგვარი ქმედებების განხორციელებას):

ა. SMG სერვისების ან SMG-ის კონტენტის ნებისმიერი ნაწილის კოპირებას, ცვლილებას, ადაპტირებას, თარგმნას, რევერსულ ინჟინერიას, დეკოდირებას ან სხვა სახით წვდომის მოპოვებას;
ბ. SMG სერვისებში ან SMG-ის კონტენტში არსებული ნებისმიერი სახის საავტორო ნიშნების, სასაქონლო ნიშნების ან სხვა საკუთრების ნიშნების ამოღებას;
გ. ჩვენს სერვისებთან დაკავშირებული უსაფრთხოების ან თაღლითობის პრევენციის ფუნქციების გვერდის ავლას, გათიშვას ან მათზე რაიმე სხვა გზით ზემოქმედებას, რაც გამოიწვევს SMG კონტენტის დაკოპირების ან გამოყენების შეფერხებას ან გამოიწვევს SMG კონტენტის და სერვისების ფუნქციონირების შეზღუდვას;

დ. სერვისების ბოროტად გამოყენებას ვირუსების, ტროიანების, ჭიების, ლოგიკური ბომბების, შპიონური აპლიკაციების, ჰაკერული აპლიკაციების ან სხვა საზიანო ან ტექნოლოგიურად მავნე მასალების მეშვეობით;
ე. SMG სერვისების ნებისმიერ ნაწილზე წვდომისათვის, ამოღებისათვის, ინდექსირებისათვის ან კოპირების მიზნით რობოტის, სპაიდერის, ვებგვერდის საძიებო/ამოღების აპლიკაციების ან სხვა ავტომატური უზრუნველყოფის გამოყენებას;
ვ. SMG სერვისების, ან SMG სერვისების ნებისმიერი ფუნქციის ან ფუნქციონალის, ნებისმიერი მესამე მხარისათვის, SMG სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მათ გაქირავებას, იჯარით გაცემას, გადაცემას, გაყიდვას, ქსელში გავრცელებას, მათ შორის ისეთ შემთხვევებში როდესაც შესაძლებელი გახდება ნებისმიერ დროს მათი ერთზე მეტი მოწყობილობიდან გამოყენება;
ზ. SMG სერვისების ვებგვერდების ნებისმიერი ნაწილის რეფორმატირებას ან ფრეიმინგის;
თ. ავტომატიზებული საშუალებებით ან ყალბი ან თაღლითური გზებით ერთზე მეტი ანგარიშის შექმნას; ან
ი. ნებისმიერი სხვა მომხმარებლის შესახებ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე პირადი მონაცემების შეგროვებას ან შენახვას.

**SMG სერვისების არასანქცირებული გამოყენების ან არასწორი გამოყენების შედეგები.** თქვენ თანახმა ხართ, რომ SMG სერვისების გამოყენების უფლება შეწყდება დაუყოვნებლივ თქვენს მიერ ამ წესების დარღვევისთანავე და რომ SMG-ს აქვს უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ შეწყვიტოს SMG სერვისების ხელმისაწვდომობა შემდგომი შეტყობინების გარეშე, თუ თქვენ არღვევთ მოცემული დოკუმენტის რომელიმე მოთხოვნას ან აკრძალვას ან ნებისმიერ სხვა შესაბამის პირობას. თქვენ თანახმა ხართ, რომ ჩვენი პირველივე მოთხოვნისთანავე თქვენ დაგვიბრუნებთ ან გაანადგურებთ ჩვენი ვებგვერდის ნებისმიერი სახის მასალების ასლებს, რაც თქვენ მიერ იქნება შექმნილი.

აკრძალულია SMG სერვისების არასანქცირებული და არასწორი გამოყენება, რამაც გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე შეიძლება გამოიწვიოს ზიანი ან/და სისხლის სამართლებრივი დევნა ან სამოქალაქო სარჩელი. SMG იტოვებს უფლებას შეატყობინოს ნებისმიერი სახის დარღვევის შესახებ შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს SMG სერვისების არასანქცირებული გამოყენების ან არასწორი გამოყენების შემთხვევაში. SMG სერვისების ნებისმიერი არასანქცირებული ან არასწორი გამოყენების შემთხვევაში, SMG სერვისების გამოყენების უფლება შეწყდება დაუყოვნებლივ და SMG-ის შეუძლია შეწყვიტოს SMG სერვისების ხელმისაწვდომობა თქვენთან წინასწარი შეთანხმების გარეშე.
**თქვენი პასუხისმგებლობა SMG სერვისების გამოყენების შედეგად წარმოქმნილ გადასახადებთან, გადასახდელებთან და სხვა ხარჯებთან დაკავშირებით (მათ შორის, მოკლე ტექსტური შეტყობინებების საფასური).** თქვენ პირადად ხართ პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის გადასახადზე, მოსაკრებელზე და სხვა ხარჯებზე, რომლებიც უკავშირდება SMG სერვისების გამოყენებას. თუ ახორციელებთ SMG სერვისებზე წვდომას და მათ მოხმარებას სმარტფონის, ტაბლეტის ან სხვა მობილური

მოწყობილობის მეშვეობით, თქვენ უნდა გაგაჩნდეთ წვდომა უკაბელო ინტერნეტ Wi-Fi სერვისზე ან მსგავს მობილური ინტერნეტის სერვისზე. გარკვეულმა სერვისებმა შეიძლება მოითხოვონ ტექსტური შეტყობინებების (SMS ან MMS) შესაძლებლობების გამოყენება. თქვენ თანახმა ხართ, რომ მხოლოდ თქვენ ხართ პასუხისმგებელი თქვენი მობილური სერვისის პროვაიდერის მიერ უზრუნველყოფილი ყველა შეტყობინებისა და მონაცემთა გაცვლის საფასურზე. ჩვენ არ დაგაკისრებთ რაიმე სახის დამატებით გადასახადს ნებისმიერი ტექსტური შეტყობინებების სერვისის გამოყენებისთვის, რომელსაც ჩვენ შემოგთავაზებთ, მაგრამ შეიძლება შეტყობინების და მონაცემების საფასური გქონდეთ გადასახდელი. ყველა გადახდა დარიცხული და გადახდილი უნდა იყოს თქვენი მობილური მომსახურების მომწოდებელზე. საფასო პოლიტიკისა და დამატებითი დეტალების შესახებ დაუკავშირდით თქვენს მობილური სერვისის პროვაიდერს. SMG არ არის პასუხისმგებელი ტექსტური შეტყობინებების მიწოდების ნებისმიერი სახის დაგვიანებაზე ან ტექსტური შეტყობინებების განხორციელების ხარვეზებზე, რადგან მიწოდება ხორციელდება თქვენი მობილური სერვისის პროვაიდერის მიერ. ტექსტური შეტყობინებები შესაძლებელია არ იყოს ხელმისაწვდომი ნებისმიერ ადგილას ნებისმიერ დროს.

**ტექსტური შეტყობინებების მიღებაზე თქვენი შეთანხმების შედეგები.** თქვენს მიერ ტექსტური შეტყობინებების მიღებაზე თანხმობის გამოხატვის შემდეგ, თქვენთვის გამოგზავნილი ტექსტური შეტყობინებების სიხშირე დამოკიდებულია თქვენს მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე. **თქვენს მიერ ტექსტური შეტყობინებების მიღებაზე შეთანხმების მიღწევისთანავე, თქვენ თანახმა ხართ, რომ SMG-ის შეუძლია გამოიყენოს ზარის განხორიცელების და ტექსტური შეტყობინებების დაგზავნის ავტომატური სისტემა და ასევე აცნობიერებთ, რომ ტექსტური შეტყობინებების მიღების თანხმობა არ არის საჭირო იმისათვის, რომ შეძლოთ ჩვენი ნებისმიერი სახის საქონლის ან მომსახურების შეძენა.**

5.4. <u>ატვირთვა</u>. SMG-ის შეუძლია დროდადრო გთხოვოთ თქვენ და სხვა მომხმარებლებს ნებაყოფლობით SMG სერვისების მეშვეობით გამოაგზავნოთ ან სხვაგვარად ატვირთოთ რეიტინგები, შეთავაზებები, ვიდეო შენიშვნები, იდეები, კომენტარები, კონცეფციები ან სხვა სახის ინფორმაცია ან მასალები (ერთობლივად " **ატვირთვა").**

თქვენ ხართ და იქნებით პირადად პასუხისმგებელი თქვენს ატვირთვებზე და ამ ატვირთვების და მათი გამოქვეყნების შედეგებზე. თქვენ იქნებით პირადად პასუხისმგებელი იმ ზიანზე რაც შეიძლება წარმოიშვას საავტორო უფლების, საკუთრების უფლების ან ნებისმიერი სხვა დარღვევის შედეგად, რომელიც დაკავშირებულია თქვენს ატვირთვასთან. ატვირთვის ან მათი გამოქვეყნების დროს, თქვენ უნდა მაქსიმალურად შეზღუდოთ გამჟღავნებული პერსონალური მონაცემების რაოდენობა, რადგან ატვირთვისას გამოყენებული დეტალებიდან გამომდინარე იგი შეიძლება პირდაპირ იყოს დაკავშირებული თქვენს პიროვნებასთან.

SMG-ისთვის (ან/და ჩვენი დანიშნული თანამდებობრივი პირისთვის) ან SMG სერვისებისთვის ყველა ატვირთვის გაგზავნის, გამოქვეყნების ან გადაცემის გზით, თქვენ ავტომატურად ადასტურებთ ან იძლევით იმის გარანტიას, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ მასალაზე თქვენ ან საავტორო უფლებების მქონე სხვა პირმა SMG-ს და

ჩვენს დანიშნულ თანამდებობრივ პირებს მსოფლიოს მასშტაბით მიანიჭა არა-ექსკლუზიური, სუბ-ლიცენზირებული (მრავალრიცხოვანი მარშრუტების საშუალებით), ტრანსფერული, არა საავტორო, მუდმივი, შეუქცევადი უფლება მათი გამოყენების, რეპროდუცირების, სუბლიცენზირების (მრავალრიცხოვანი მარშრუტების მეშვეობით), გავრცელების, სახეცვლილი ასლების დამზადების თაობაზე, იმისათვის რომ გამოიყენოს და ატვირთოს თქვენი მასალები (მთლიანად ან ნაწილობრივ) ნებისმიერ მედია საშუალებაში, რომელიც ამჟამად არის ცნობილი ან შემდგომში შეიქმნება, კომერციული ან სხვაგვარი ნებისმიერი მიზნით, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე. სხვაგვარად რომ ითქვას, SMG-ის აქვს ავტომატური უფლება გამოიყენოს თქვენი ატვირთვები - მათ შორის უფლება გამოაქვეყნოს, გაამჟღავნოს, განათავსოს ან გაავრცელოს თქვენი ატვირთვები - ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ დროს, ნებისმიერი საშუალებით, ნებისმიერი მიზნისთვის, რაიმე საფასურის გადახდის ან ვალდებულების წარმოქნის გარეშე. თქვენ ასევე აძლევთ უფლებას ნებისმიერ სხვა მომხმარებელს, რომ ისარგებლოს, დაათვალიეროს, შეინახოს თქვენი ატვირთვები ან მოახდინოს მათი რეპროდუცირება ამ მომხმარებლის პირადი მიზნებისათვის. თქვენ ანიჭებთ SMG-ს (და/ან ჩვენს დანიშნულ თანამდებობრივ პირებს) უფლებას გამოიყენონ თქვენი ნებისმიერი ატვირთული მასალა ნებისმიერი მიზნისთვის. არავითარ გარემოებებში არ გაქვთ რაიმე სახის გადასახადის მოთხოვნის უფლება, თუ SMG (და/ან მისი დანიშნული თანამდებობრივი პირები) იყენებენ თქვენს ერთ-ერთ ატვირთვას. ყველა ატვირთვა ითვლება არა კონფიდენციალურად და არასაკუთრივად.

თქვენი ატვირთვები შეიძლება საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდეს. თქვენ აცნობიერებთ, რომ თქვენ არ გაქვთ თქვენს ატვირთვებთან დაკავშირებით კონფიდენციალურობის მოლოდინი. თქვენ ასევე აცნობიერებთ, რომ თქვენ ახორციელებთ მასალების ატვირთვებს ნებაყოფლობით და საკუთარი რისკის ფასად. SMG-ის, SMG-ის კლიენტების, ან ნებისმიერ სხვა პირის ან პიროვნების მისამართით გაკეთებული ატვირთვა, კომენტარი ან სხვა შინაარსის გამოქვეყნება უნდა იყოს კარგად გააზრებული და აწონილი. თქვენ შეიძლება დაგეკისროთ პასუხისმგებლობა სხვა მომხმარებლების, SMG-ის ან მესამე პირების მიმართ ზიანის ანაზღაურებაზე, რომელიც გამოწვეული იყო თქვენ მიერ ატვირთვის ან სხვა ქმედების ჩადენის შედეგად. ატვირთვის გამოქვეყნებისას თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ თქვენი მომხმარებლის სახელი ან ისარგებლოთ ფსევდონიმით, თუ თქვენი ქვეყნის კანონმდებლობით ასეთი ქმედება არ არის აკრძალული.

SMG არ არის იურიდიულად პასუხისმგებელი მისი მომხმარებლების მიერ ატვირთული ნებისმიერი სახის მასალებზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთი მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნას ცილისმწამებლური ან სხვა მიზნებით. SMG არ არის პასუხისმგებელი და არანაირად არ არის დაკავშირებული SMG სერვისებზე ან მათი გამოყენებით ატვირთულ კომენტარებზე, მოსაზრებებზე, რჩევებზე ან რეკომენდაციებზე. SMG კონკრეტულად უარყოფს ნებისმიერ და ყველა სახის პასუხისმგებლობას და კავშირს აღნიშნულ ატვირთვებთან დაკავშირებით. SMG არ ადასტურებს და არ ამოწმებს მომხმარებელთა კვალიფიკაციას, ბიოგრაფიას ან მათ შესაძლებლობებს ან მათ მიერ გავრცელებულ მასალებს ან ინფორმაციას, რასაც ისინი

ტვირთავენ SMG სერვისების მეშვეობით. ამიტომ, SMG მოუწოდებს მომხმარებლებს ასატვირთი მასალების მომზადებისას გამოიყენონ საღი გონება და სწორი მიდგომა.

ატვირთვის გამოქვეყნებისთანავე, თქვენ თანახმა ხართ წარმოადგინოთ და დაადასტუროთ, რომ თქვენი ატვირთვა:

ა. არის ჭეშმარიტი და ზუსტი;
ბ. ზუსტად ეხება SMG სერვისების მიერ დასახელებულ საკითხს ან თემას;
გ. არ არღვევს ან ითვისებს მესამე მხარის საავტორო უფლებებს, სასაქონლო ნიშანებს, პატენტებს, ლიტერატურულ უფლებებს, სავაჭრო საიდუმლოებას, კონფიდენციალურობას, საჯაროობას, საკუთრების, სახელშეკრულებო ან სხვა უფლებას;
დ. არ შეიცავს ინფორმაციას, რომელიც განსაზღვრავს ნებისმიერ პირს ან სხვაგვარად შეიცავს პიროვნების პირად მონაცემებს, თუ არ გაქვთ ასეთი პირის წინასწარი წერილობითი თანხმობა ;
ე. არ შეიცავს მესამე მხარის ან მისი პროდუქციის ან მომსახურების შესახებ დაუსაბუთებელ პრეტენზიებს;
ვ. არ შეიცავს ცილისმწამებლურ, ცრუ, ვულგარულ, შეცდომაში შემყვან, უხამს, პორნოგრაფიული ხასიათის, სექსუალურ, ძალადობრივი ხასიათის გამონათქვამს, უზუსტობას, შეურაცხყოფას, მუქარას, შევიწროებას, ანტისოციალურ, სექსუალურ ან რასობრივ შეურაცხმყოფელ კონტექსტს ან სხვა შინაარსს, რომელიც ზიანს აყენებს ან შეიძლება მიაყენოს ზიანი ნებისმიერ პირს ან ორგანოს;
ზ. არ არის უკანონო და ხელს არ უწყობს უკანონო საქმიანობის ან უკანონო ქმედებების წახალისებას ან მათ მიერ ჩადენილი უკანონო ქმედების განხილვას;
თ. არ არის დაკავშირებული კომერციულ ან ბიზნეს ურთიერთობებთან და არ აწარმოებს ნებისმიერი სახის პროდუქციის ან მომსახურების (თუ არა მოგებას) რეკლამას ან გაყიდვის პრომოუშენს ან მოთხოვნას (მათ შორის, შემოწირულობებისა და დახმარების მოთხოვნა);
ი. არ შეიცავს ვირუსს ან სხვა მავნე კომპონენტს, ან სხვა SMG სერვისებს ან მათთან დაკავშირებული ქსელის შემაფერხებელ გარემოებას, ან თუ იგი სხვაგვარად აფერხებს ნებისმიერ პირის ან კომპანიის მიერ SMG სერვისების გამოყენებას; და
კ. შეესაბამება ყველა შესაბამის კანონს, წესს, რეგულაციას, პოლიტიკას, ასაკობრივი შეზღუდვების ჩათვლით და თქვენს მიერ მოწონებულ ატვირთვებთან დაკავშირებულ სახელშეკრულებო პირობას, ისევე როგორც SMG სერვისების გამოყენების პირობას, რომლის საშუალებითაც თქვენ განათავსებთ ან სხვაგვარად მიაწოდებთ თქვენს მასალებს.

თქვენ აღიარებთ და ეთანხმებით, რომ SMG-ის აქვს უფლება, მაგრამ არა ვალდებულება, შეცვალოს, წაშალოს ან უარი თქვას ატვირთვის განთავსებაზე ან დართოს ნება ნებისმიერ ატვირთვაზე. SMG არ იღებს პასუხისმგებლობას და არ არის ვალდებული ნებისმიერ მასალაზე, რომელიც ატვირთულია თქვენი ან მესამე მხარის მიერ. SMG-ის არ შეუძლია და არ არის ვალდებული უზრუნველყოს ის გარემოება, რომ ყველა მომხმარებელი შეესაბამება მოცემულ დებულებებს და, თქვენ და SMG-ის შორის არსებული შეთანხმების მიხედვით, იღებთ პერსონალურ პასუხისმგებლობას ზიანზე ან რისკზე,

რომელიც გამომდინარეობს მომხმარებელთა მიერ ამ წესებთან ნებისმიერი სახის შეუსაბამობიდან.

SMG მტკიცედ მოგიწოდებთ, რომ თქვენ მაქსიმალურად შეამციროთ თქვენი პერსონალური მონაცემების გამჟღავნება თქვენს ატვირთვებში, რადგანაც სხვა მომხმარებლებს გააჩნიათ შესაძლებლობა ნახონ და გამოიყენონ თქვენს მასალებში ასახული პერსონალური მონაცემები. SMG არ არის პასუხისმგებელი იმ ინფორმაციაზე, რომელიც თქვენ აირჩიეთ რომ გამოიყენოთ ატვირთვისას.

**6. მესამე მხარის ვებგვერდები და სერვისები**

SMG სერვისები შეიძლება შეიცავდეს მესამე მხარის ვებგვერდებსა და სერვისებს, მათ შორის სოციალურ მედიას (ერთობლივად, "**დაკავშირებული სერვისები**"). ნებისმიერი სახის დაკავშირებული სერვისი არ არის SMG-ის კონტროლის ქვეშ და SMG არ არის პასუხისმგებელი დაკავშირებულ სერვისებზე, ან იმ ნებისმიერი სახის ინფორმაციაზე ან მასალაზე რაც მიღებული იქნება დაკავშირებული სერვისებიდან. ბმულის ჩართვა არ იწვევს SMG-ის მიერ დაკავშირებული სერვისების მიმართ რაიმე სახის ვალდებულებას. SMG არ იძიებს, ამოწმებს ან ახორციელებს დაკავშირებულ სერვისების მონიტორინგს. SMG უზრუნველყოფს დაკავშირებული სერვისების ბმულების გამოქვეყნებას მხოლოდ თქვენი ინფორმირებულობის მიზნით. თქვენ უკავშირდებით დაკავშირებული სერვისებს თქვენი საკუთარი რისკის ფასად.

**7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, გარანტიები და შეზღუდული პასუხისმგებლობა**

SMG იძლევა გარანტიას, რომ SMG გააჩნია ყველანაირი სამართლებრივი საფუძველი მონაწილეობა მიიღოს ამ დოკუმენტით რეგულირებულ ურთიერთობებში. თქვენ იძლევით გარანტიას, რომ გაგაჩნიათ ყველანაირი სამართლებრივი საფუძველი მონაწილეობა მიიღოთ ამ დოკუმენტით რეგულირებულ ურთიერთობებში.

**გარდა ზემოთ მოყვანილი შემთხვევებისა, SMG სერვისები მიეწოდება "როგორც არის" და "როგორც ხელმისაწვდომია" ნებისმიერი სახის გარანტიისა, დაპირების ან ქვეტექსტის გარეშე**.

SMG არ აკეთებს არანაირ განცხადებას ან არ იძლევა გარანტიებს SMG-ის კონტენტის სიზუსტის, საიმედოობის, სრულყოფილების ან დროულობის შესახებ, ან SMG სერვისებისა და SMG-ის კონტენტის გამოყენებით მიღებული შედეგების შესახებ. SMG სერვისებისა და კონტენტის გამოყენება საკუთარი რისკის ფასად. პერიოდულად ხორციელდება SMG სერვისებისა და SMG კონტენტის ცვლილებები. ეს ცვლილებები ნებისმიერ დროს შეიძლება განხორციელდეს. SMG-ის სერვისებში არსებული გარკვეული კონტენტი შეიძლება იყოს მესამე მხარის მიერ მოწოდებული. SMG არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი მესამე მხარის მიერ მოწოდებულ კონტენტზე.

SMG სერვისები და SMG კონტენტი წარმოდგენილია "როგორც არის", რაიმე სახის გარანტიების გარეშე. კანონმდებლობით დაშვებულ მაქსიმალურ ფარგლებში, SMG

კონკრეტულად აცხადებს უარს რაიმე სახის გარანტიებზე და პირობებზე, მათ შორის, სასაქონლო ხარისხთან და დანიშნულებასთან, სავაჭრო ნიშნებთან და მესამე მხარის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ გარანტიებზე და პირობებზე, მათ შორის გარანტიები ხარვეზებისგან თავისუფლების, შეუფერხებელი გამოყენების შესაძლებლობის და ნებისმიერი კურსიდან გამომდინარე ვაჭრობასთან დაკავშირებული გარანტიები.

SMG არ იძლევა გარანტიას, რომ (ა) SMG სერვისები, დააკმაყოფილებენ თქვენს მოთხოვნებს, (ბ) SMG სერვისების მოწოდება არ იქნება უწყვეტი ან ვირუსებისგან ან შეცდომების თავისუფალი ან (გ) შეცდომები გამოსწორდება. თუ SMG სერვისების ან SMG-ის კონტენტის გამოყენების შედეგად, საჭირო გახდა თქვენი აპარატურის შეკეთება ან გამოცვლა, ან გამოიწვია მოგების ან მონაცემების დაკარგვა, SMG არ იქნება პასუხისმგებელი აღნიშნული ხარჯების ანაზღაურებაზე. SMG-ის ან მისი უფლებამოსილი აგენტების მიერ მიწოდებული ნებისმიერი ზეპირი ან წერილობითი რჩევა არ წარმოადგენს გარანტიას არ იქნება განხილული როგორც გარანტია. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა არ იძლევა წარმოდგენილ გარანტიებზე თავის არიდების საშუალებას, რომლებიც გულისხმობს, რომ რომელიმე მათგანი ან ზემოხსენებული ყველანი გამონაკლისი ერთად არ შეიძლება გამოყენებული იყოს თქვენს მიმართ.

**თქვენი მხრიდან SMG სერვისების გამოყენება საკუთარი რისკის ფასად.** თუ უკმაყოფილო ხართ SMG სერვისებით, SMG სერვისების ნებისმიერი სახის კონტენტის ჩათვლით, თქვენი პრობლემის მოგვარების ერთადერთი საშუალებაა SMG სერვისების გამოყენების შეწყვეტა.

თქვენ თანახმა ხართ, რომ SMG ან SMG სერვისებში მონაწილე მესამე მხარე არ იქნება პასუხისმგებელი შემდეგზე: (ა) ნებისმიერი სახის ზიანის მიყენებაზე, პირდაპირი, არაპირდაპირი, სპეციალური, სამაგალითო, შემთხვევითი, შედეგობრივი ან სადამსჯელო ან სხვა სახის ზიანის ჩათვლით (მათ შორის ზიანი გამოწვეული, მაგრამ არ შემოფარგლული, შემცვლელი საქონლის ან მომსახურების შესყიდვით, გამოყენების, მონაცემების ან მოგების დაკარგვით, ან ბიზნეს საქმიანობის შეფერხებით) ასევე ზიანზე რომელიც გამოწვეული იყო ამ პირობების დაცვით, SMG სერვისების და კონტენტის გამოყენებით ან გამოყენების შეუძლებლობით, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც SMG იყო წინასწარ გაფრთხილებული შესაძლო ზარალის შესახებ, ან (ბ) თქვენს მიერ SMG სერვისების გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ზიანზე ან პრეტენზიაზე. პასუხისმგებლობის ზემოაღნიშნული დეკლარაცია არ გამოიყენება ჩვენი მხრიდან უყურადღებობის ან განზრახ მიკერძოების შედეგად გამოწვეული ზიანთან მიმართებაში და შესაბამისი კანონმდებლობით აკრძალული უფლებების დარღვევისას.
იმ შემთხვევაში, თუ მოცემული დოკუმენტის მე-7 ნაწილში გაჟღერებული გარანტიები და პასუხისმგებლობის შეზღუდვები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას კონკრეტულ სიტუაციაში, SMG-ის მაქსიმალური პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურების სახით წარმოადგენს 1000 აშშ დოლარს.

**თქვენ აცნობიერებთ და ეთანხმებით, რომ ზემოხსენებული ვალდებულებების შეზღუდვები, ამ პირობების სხვა დებულებებთან ერთად, რომლებიც ზღუდავს პასუხისმგებლობას, არის აუცილებელი პირობები და რომ SMG არ გააჩნია სურვილი, მოგანიჭოთ ამ პირობებით გათვალისწინებული უფლებები, პასუხისმგებლობის ზემოხსენებული შეზღუდვების გარეშე.**

თუ თქვენ ხართ კალიფორნიის რეზიდენტი, თქვენ ახორციელებთ თქვენს უფლებებს კალიფორნიის სამოქალაქო კოდექსის 1542-ე მუხლის შესაბამისად, რომელთა თანახმადაც "პასუხიმგებლობისგან თავის არიდება არ ვრცელდება იმ მოთხოვნებზე, რომელთა შესახებაც დებიტორის მხრიდან კრედიტორის სასარგებლოდ პასუხისმგებლობის დადგომის მომენტში კრედიტორმა არ იცის ან არ ეჭვობს მათი არსებობის შესახებ."

**8. კომპენსაცია**

თქვენ თანახმა ხართ, რომ საკუთარი ხარჯებით დაიცავთ და არ დააზიანებთ SMG-ის და მისი კლიენტებს, დირექტორებს, ოფიცრებს, თანამშრომლებსა და აგენტებს ყველა სახის შესაძლო დანაკარგის, ვალდებულებების, პრეტენზიების, ქმედებებისა და მოთხოვნებისგან, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერი ფულადი სახის დაზიანებისგან, ხარჯებისგან, გადასახდელებისგან და ფინანსური ხარჯებისგან რაც შეიძლება დადგეს SMG-ს წინააღმდეგ რომელიმე მესამე მხარის მიერ, რაც გამოწვეული იყო (ა) თქვენი ატვირთვით, (ბ) თქვენს მიერ SMG-ის სერვისების გამოყენებით, ან (გ) თქვენს მიერ მოცემული დოკუმენტის პირობების, მესამე მხარის უფლებების ან მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით. ეს განმახორციელებელი დებულება არ ვრცელდება იმდენად, რამდენადაც ეს აკრძალულია შესაბამისი კანონმდებლობით. SMG იტოვებს უფლებას, საკუთარი ხარჯებით, განახორციელოს საკუთარი უფლებების ექსკლუზიური დაცვა და კონტროლი ნებისმიერ საკითხზე, რომელიც ეხება ზიანის ანაზღაურებას. ისეთი სახის ღონისძიება, რომელიც არ ახდენს გავლენას SMG-ის უფლებებსა და ვალდებულებებზე, შესაძლებელია განხორციელდეს SMG-ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

**9. დავების გადაჭრა**

გარდა ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვასთან და ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული დავებისა, ან ისეთი ნებისმიერი სახის დავასთან დაკავშირებით, რომელიც რეგულირდება აშშ-ს ფედერალური კანონმდებლობით, თქვენსა და SMG-ს შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა, რომელიც დაკავშირებულია ამ პირობებთან და რეგულირდება და აღსრულდება მისურის შტატის (აშშ) ფედერალური კანონმდებლობით, მიუხედავად თქვენი საცხოვრებელი ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობისა ან იმ ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობისა საიდანაც ახორციელებთ სერვისებზე წვდომას. ყველა ასეთი დავა განისაზღვრება მისურის კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც გამოიყენება მისურის შტატში რეგისტრირებული და აღსრულებული კონტრაქტების შესაბამისად. თქვენ და SMG თანხმდებით მასზედ, რომ გაეროს კონვენცია საქონლის საერთაშორისო რეალიზაციის სახელშეკრულებო წესების შესახებ არ ვრცელდება მოცემული დოკუმენტის პირობების ინტერპრეტაციაზე და შინაარსზე.

**თქვენ და SMG თანხმდებით მასზედ, რომ ყოველ მხარეს აქვს უფლება წარუდგინოს მეორე მხარეს პრეტენზიები ცალკეულ შემთხვევებზე მხოლოდ პირადად და არა როგორც ჯგუფური მოსარჩელე ან რომელიმე გაერთიანების, რომელიმე კლასის ან წარმომადგენლობითი ორგანოს მონაწილე.**

**თქვენ და SMG თანხმდებით მასზედ, რომ ყველა დავა განიხილება საარბიტრაჟო სასამართლოს მეშვეობით იმ გზით რაც ასახულია მოცემული დოკუმენტის მე-9 ნაწილში და რომ თქვენ და SMG-ი უარს ამბობთ დავების სხვა ტიპის სასამართლოში განხილვაზე. ის**

**უფლებები, რაც თქვენ შეიძლება გქონდეთ ჩვეულებრივ სასამართლოში მიმართვისას, შეიძლება მიუწვდომელი ან ნაწილობრივ შეზღუდული იყოს არბიტრაჟში მიმართვისას.**

თქვენსა და SMG-ის ან/და მის აგენტებს, თანამშრომლებს, ოფიცრებს, დირექტორებს, ხელმძღვანელებს, მემკვიდრეებს, პარტნიორებს ან შვილობილ კომპანიებს შორის არსებული ნებისმიერი სახის დავა, რომლებიც წარმოიშობა ამ შეთანხმებიდან გამომდინარე და აქ მოცემული პირობების ინტერპრეტაციასთან ან მათ დარღვევასთან, შეწყვეტასთან დაკავშირებით, (კოლექტიურად, " **მიმდინარე დავები**") ექვემდებარება საარბიტრაჟო განხილვას მისურის შტატში, რომელიც უნდა განხორციელდეს ამერიკის საარბიტრაჟო ასოციაციის (AAA) მიერ და მისი წესების შესაბამისად (მათ შორის მისი წესები და პროცედურები სამომხმარებლო დავების შესახებ) , მოქმედების თარიღის შესაბამისად. საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე, ინიციატორი მხარე მეორე მხარეს მინიმუმ 60 დღით ადრე გადასცემს წერილობითი შეტყობინებას საარბიტრაჟო განაცხადის შეტანის შესახებ. SMG-ი აგზავნის აღნიშნულ შეტყობინებას იმ ელ. ფოსტის მისამართზე, რომლიც მითითებულია თქვენს ანგარიშზე ან იმ ელ. ფოსტით მისამართზე რომელიც დამატებით აცნობეთ SMG-ს; თქვენ SMG- ის სახელზე აღნიშნული შეტყობინება უნდა გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე privacyofficer@smg.com.

ყველა შენატანის, ადმინისტრაციული და საარბიტრაჟო მოსაკრებლების გადახდა განხორციელდება AAA-ს წესების შესაბამისად. თუმცა, თუ თქვენ შეძლებთ იმის დადასტურებას, რომ თქვენთვის საარბიტრაჟო ხარჯები სასამართლო ხარჯებთან შედარებით წარმოადგენს განუზომლად მძიმე ტვირთს, არბიტრის გადაწყვეტილებით, SMG გადაიხდის შენატანის, ადმინისტრაციულ და არბიტრაჟულ მოსაკრებლებს იმ მოცულობით რომ საარბიტრაჟო ხარჯები აღარ წარმოადგენდეს თქვენთვის მძიმე ტვირთს. თუ არბიტრი საბოლოო გადაწყვეტილებით განსაზღვრავს, რომ თქვენი საარბიტრაჟო დავის საგანი არის დაუსაბუთებელი, თქვენ თანახმა ხართ, რომ აუნაზღაუროთ SMG-ს ყველა გაწეული საარბიტრაჟო ხარჯი რაც SMG-მ გადაიხადა თქვენი სახელით და რაც რეგულირდება AAA-ს წესებით.

დავის განხილვისათვის შეირჩევა ერთი არბიტრი AAA-ს კომერციული საარბიტრაჟო წესების შესაბამისად. არბიტრაჟი ჩატარდება ინგლისურ ენაზე. არბიტრაჟი უფლებამოსილია, გამოიტანოს სასამართლო გადაწყვეტილება მისი კომპეტენციის ფარგლებში და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ეს გადაწყვეტილება არის საბოლოო და წარმოადგენს ორივე მხარისათვის სავალდებულო აღსრულების საგანს. არბიტრაჟს არ გააჩნია უფლებამოსილება, დააკისროს რომელიმე მხარეს ჯარიმის გადახდა ან ზიანის ანაზღაურება, რომლის უფლებაც თითოეულმა მხარემ გააუქმა. გადაწყვეტილების მიღებისას არბიტრი იხელმძღვანელებს მოქმედი კანონმდებლობით და ამ პირობების დებულებებით; წინააღმდეგ შემთხვევაში ეს შეიძლება ჩაითვალოს როგორც საარბიტრაჟო უფლებამოსილების გადამეტება და წარმოადგენს სხვა ინსტანციის სასამართლო განხილვის საფუძველს. არბიტრის გადაწყვეტილება უნდა იყოს შედგენილი წერილობითი ფორმით და უნდა დარჩეს კონფიდენციალური. SMG და თქვენ თანხმდებით მასზედ, რომ ნებისმიერი მიმდინარე დავა შეიძლება წარედგინოს არბიტრაჟს მხოლოდ ინდივიდუალურად. **არც SMG და არც თქვენ არ ხართ უფლებამოსილი აწარმოოთ საარბიტრაჟო დავა ადამიანთა ჯგუფის ან გაერთიანების სახელით და არბიტრს არა აქვს უფლება განიხილოს მსგავსი საქმეები** . თუ ვერ ხერხდება მოცემული დოკუმენტის მე-9 ნაწილში არბიტრაჟის შესახებ არსებული

რომელიმე დებულების აღსრულება, ეს დებულება გაუქმდება, ხოლო დარჩენილი ნაწილი ძალაში შევა საარბიტრაჟო პირობების შესაბამისად (თუმცა, არავითარ შემთხვევაში ეს არ ეხება ადამიანთა გაერთიანებას, წარმომადგენელს ან კერძო ადვოკატს). მიუხედავად მოქმედი კანონმდებლობისა ან რეგულაციებისა, წინამდებარე პირობებიდან გამომდინარე ნებისმიერი სახის საჩივრის შეტანა უნდა მოხდეს პრეტენზიის წარმოშობიდან ერთი (1) წლის განმავლობაში, ან უნდა დავიწყებული იყოს სამუდამოდ. ამ პირობების მე-9 ნაწილის მიზნებისათვის, ეს პირობები და მათთან დაკავშირებული გარიგებები ექვემდებარება ფედერალური არბიტრაჟის აქტის იურისდიქციას, 9 U.S.C. sec. 1-16 (FAA).

**შენიშვნა:** ამ პირობებზე თანხმობით, თქვენ პირდაპირ ეთანხმებით, რომ უარს აცხადებთ ნებისმიერი სახის პრეტენზიაზე ან ქმედებაზე, რომელიც SMG-ის წინააღმდეგ შეიძლება წარმოიშვას აშშ-ს ტერიტორიის გარეთ, ნებისმიერი სხვა იურისდიქციის ფარგლებში, მათ შორის, თქვენი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, და რომ თქვენი ერთადერთი სამართლებრივი ადგილმდებარეობა და მოქმედი კანონი ნებისმიერ დავასთან დაკავშირებით არის ამერიკის შეერთებულ შტატები, ამ დოკუმენტის მე-9 ნაწილის შესაბამისად.

**10. ჯილდოები**

დროდადრო, SMG-ის შეუძლია შემოგთავაზოთ საჩუქრების მიღების შესაძლებლობა, ისეთის როგორიცაა სასაჩუქრე ქულები, ფასდაკლება ან სხვა სპეციალური შეთავაზებები (ერთობლივად, "**ჯილდოები**"). ჩვენ SMG სერვისის მეშვეობით გაცნობებთ, თუ როდის იქნება ჯილდოები ხელმისაწვდომი. ჯილდოების სარგებელი შეიძლება განსხვავდებოდეს მათი მოქმედების პერიოდით, ასე რომ შეამოწმეთ თითოეული ჯილდოს დეტალები, როდესაც მას მიიღებთ. SurveyMini-ის შემთხვევაში, სასაჩუქრე ქულების გამოუყენებლობა ოთხმოცდაათი (90) დღის განმავლობაში, გამოიწვევს თქვენი სასაჩუქრე ქულების გაუქმებას. თქვენი ჯილდოები განკუთვნილია მხოლოდ თქვენი პირადი სარგებლობისთვის. თქვენ არ შეგიძლიათ გადარიცხოთ, გააჩუქოთ, გაყიდოთ, გაცვალოთ ან გადააფორმოთ თქვენი ჯილდო. თუ კანონით არ არის მოთხოვნილი, ჯილდოები არ გადაიცვლება ნაღდ ფულში და არ შეიძლება მათი გაერთიანება SMG-ის ან კლიენტის ნებისმიერ სხვა ჯილდოსთან, შეთავაზებასთან ან სხვა ფასდაკლებასთან. თქვენს მიერ ჯილდოს განაღდების შემდეგ, ნებისმიერ მიზეზით, არ გაიცემა არანაირი კრედიტი ან დაბრუნების მოთხოვნა. SMG იტოვებს უფლებას შეცვალოს, შეწყვიტოს ან შეაჩეროს ჯილდოების ხელმისაწვდომობა. ჯილდოებთან დაკავშირებით, ყველა საკითხში თქვენ ეთანხმებით SMG-ის ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რომლებიც არის საბოლოო და სავალდებულო.

**11. მობილური აპლიკაციების განახლება**

ჩვენ შეიძლება დროდადრო (ჩვენი შეხედულებისამებრ) განვავითაროთ და განვაახლოთ ჩვენი მობილური აპლიკაციები განახლების პაკეტების მეშვეობით, რომლებიც შეიძლება შეიცავდეს განახლებებს, ბაგების გამოსწორებებს, პატჩებს, და სხვა შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობებს ან/და ახალ ფუნქციებს (კოლექტიურად "**განახლებები**"). განახლებებმა შესაძლოა მთლიანად შეცვალოს ან წაშალოს გარკვეული მახასიათებლები და ფუნქციები. თქვენ ეთანხმებით, რომ SMG-ის არ აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს რეგულარული განახლებები ან აპლიკაციას დაუმატოს რაიმე კონკრეტული თვისება ან ფუნქცია.

თქვენი მობილური მოწყობილობის პარამეტრების შესაბამისად, როდესაც თქვენი მობილური მოწყობილობა ჩართული იქნება ინტერნეტში: (ა) განახლებები ავტომატურად გადმოიწერება და დაინსტალირდება; ან (ბ) შეგიძლიათ მიიღოთ შეტყობინება ან შეხსენება იმის თაობაზე რომ განახლებები მზად არის ჩამოსატვირთათ.

დაუყოვნებლივ ჩამოტვირთოთ და დააყენოთ ყველა განახლება. თუ არ მოხდა აპლიკაციის განახლება, შესაძლებელია SMG-ის სერვისების ნაწილმა არ იმოქმედოს. თქვენ თანახმა ხართ, რომ ყველა განახლება ჩაითვლება როგორც SMG-ის სერვისების ნაწილი და ექვემდებარება ამ პირობების დოკუმენტით რეგულირებას.

**12. ელექტრონული კონტრაქტები**

თქვენს მიერ SMG სერვისების გამოყენება ან/და ანგარიშის რეგისტრაცია გულისხმობს თქვენს თანხმობას ჩვენთან ურთიერთობაზე ელექტრონული შეთანხმებების სახით.

**13. გეოგრაფიული შეზღუდვები/ექსპორტის კონტროლი**

SMG მომსახურება და SMG კონტენტი დაფუძნებულია მისურის შტატში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი ხელმისაწვდომი იქნება გამოყენებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებს გარეთ მცხოვრები პირებისათვის, და თქვენ აცნობიერებთ, რომ სამართლებრივი თუ საოპერაციო მიზეზებით თქვენ ვერ შეძლებთ SMG-ის სერვისებზე ან SMG კონტენტზე წვდომას თქვენი საცხოვრებელი ქვეყნიდან. თუ თქვენ სარგებლობთ SMG სერვისებით ან SMG-ის კონტენტით ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარედან, თქვენ ხართ პასუხისმგებელი ადგილობრივი კანონების წინაშე, მათ შორის SMG-ის კონტენტის იმპორტის, ექსპორტის ან რეექსპორტის შესახებ ადგილობრივი კანონების წინაშე.

გარკვეულ ქვეყნებში, SMG მომსახურება შეიძლება ექვემდებარებოდეს საექსპორტო კონტროლის კანონებს, მათ შორის აშშ-ს ექსპორტის ადმინისტრირების აქტს და მასთან დაკავშირებული რეგულაციებს. თქვენ თანახმა ხართ, დაემორჩილოთ ასეთ კანონებსა და რეგულაციებს, და პირდაპირ თუ არაპირდაპირ, არ განახორციელოთ SMG სერვისების ექსპორტი, რეექსპორტი ან გაშვება, ან არ გახდით SMG სერვისებს ხელმისაწვდომს, ისეთ ქვეყნების პირებისათვის, სადაც კანონით, წესებით ან რეგულაციებით აკრძალულია მსგავსი სახის ექსპორტი, რეექსპორტი ან გაშვება. თქვენ თანახმა ხართ, რომ დაემორჩილებით ყველა მოქმედ ფედერალურ კანონმდებლობას, წესებსა და რეგულაციებს და აღასრულებთ ყველა საჭირო ვალდებულებას (მათ შორის, მოიპოვებთ საჭირო საექსპორტო ლიცენზიას ან სხვა სამთავრობო ნებართვებს), მანამ სანამ მოახდენთ SMG სერვისების აშშ-ს ფარგლებს გარეთ ექსპორტს, რეექსპორტს, გაშვებას ან სხვა ქმედებას. გარდა ამისა, SMG-ის ნებისმიერი კონტენტის გადმოტვირთვით, თქვენ ადასტურებთ რომ არ იმყოფებით ისეთ ქვეყანაში, სადაც ასეთი ქმედება აკრძალელულია, და თქვენ არ ხართ აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის უარყოფილი შეკვეთების ნუსხაში ან აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტის საგანგებოდ დანიშნული მოქალაქეების სიაში.

**14. აშშ-ის მთავრობის უფლებები**

SMG სერვისები კომერციული კომპიუტერული პროგრამაა, როგორც ეს განსაზღვრულია 48 CFR §2.101. შესაბამისად, თუ თქვენ ხართ აშშ-ის მთავრობის სააგენტო ან ნებისმიერი კონტრაქტორი, თქვენ გაქვთ მხოლოდ ის უფლებები SMG სერვისებთან მიმართებაში,

როგორც ეს ყველა სხვა მომხმარებელს აქვს მინიჭებული (ა) თავდაცვის დეპარტამენტისა და მათი კონტრაქტორების მიმართ 48 CFR §227.7201 და 48 CFR §227.7204 ლიცენზიის მეშვეობით, ან (ბ) აშშ-ის მთავრობის ყველა სხვა ლიცენზიანტებისა და მათი კონტრაქტორების მიმართ 48 CFR §12.212 ლიცენზიის მეშვეობით.

**15. შეწყვეტა**

საკუთარი შეხედულებისამებრ, SMG-ის შეუძლია შეცვალოს ან შეწყვიტოს SMG სერვისები, ან შეცვალოს, დაბლოკოს ან შეაჩეროს თქვენი ანგარიში ან SMG სერვისების ხელმისაწვდომობა, ნებისმიერ დროს თქვენთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე, თქვენდამი ან მესამე მხარისადმი ვალდებულების გარეშე. მაგალითად, თქვენი ანგარიში შეიძლება შეწყდეს და შეგეზღუდოთ SMG სერვისებზე ხელმისაწვდომობა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, თუ SMG-ს აქვს იმის ეჭვის საბაბი, რომ თქვენ ხართ არასრულწლოვანი. კიდევ ერთი მაგალითი, SMG-ის შეუძლია შეწყვიტოს თქვენი ანგარიში და SMG სერვისების გამოყენების შესაძლებლობა, გაფრთხილებით ან გაფრთხილების გარეშე, თუ SMG-ის აქვს იმის მტკიცების საფუძველი, რომ თქვენ მოწოდებული გაქვთ არასწორი, არასრული ან მცდარი პირადი ინფორმაცია, ან თქვენ სხვაგვარად ვერ ასრულებთ მოცემულ პირობებს ან ნებისმიერი სხვა დამატებითი პირობები.

თქვენ თანახმა ხართ, რომ ჩვენი პირველივე მოთხოვნისთანავე თქვენ დაგვიბრუნებთ ან გაანადგურებთ ჩვენი ვებგვერდის ნებისმიერი სახის მასალების ასლებს, რაც თქვენ მიერ იქნება შექმნილი.

შეწყვეტა არ ზღუდავს SMG-ის სხვა უფლებებს ან მათი დაცვის საშუალებებს. ეს პირობები მაინც დარჩება ძალაში, მიუხედავად მათი მოდიფიკაციის, შეწყვეტის, შეჩერების, ან/და გაუქმებისა.

**16. კონფიდენციალურობის დარღვევა**

SMG პატივს სცემს სხვათა ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს. ჩვენ სრულად ვეთანხმებით და ვემორჩილებით აშშ-ს ციფრული ათასწლეულის საავტორო უფლებების აქტს (“**DMCA**”), მათ შორის, იქ სადაც შესაძლებელია, საავტორო უფლებების დამრღვევი მასალების ამოღებით.

თუ თქვენ გაქვთ გონივრული ეჭვი, რომ თქვენი საავტორო უფლებები დარღვეულია და თქვენი ნამუშევარი გადაწერილია ან თქვენი ინტელექტუალური საკუთრების უფლება სხვაგვარად იქნა დარღვეული SMG სერვისის მიერ ან მათი მეშვეობით, გაუგზავნეთ თქვენი სარჩელი ან შენიშვნა ჩვენს DMCA აგენტს:

DMCA აგენტი
Service Management Group, LLC
1737 McGee Street
Kansas City, MO 64108

ან ელ. ფოსტაზე:
privacyofficer@smg.com

თქვენი შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა. ექსკლუზიური უფლების მფლობელის, რომლის უფლებებიც არის სავარაუდოდ დარღვეული, სახელით უფლებამოსილი პირის ფიზიკური ან ელექტრონულ ხელმოწერას;
ბ. საავტორო უფლებებით დაცული ნამუშევრის იდენტიფიცირებას, ან, თუ ის მრავალჯერ განთავსებული იყო ერთ ვებგვერდზე და მოცულია ერთიანი შეტყობინებით, ასეთ ნამუშევართა წარმომადგენლობით სიას ამ ვებგვერდზე;
გ. მასალის იდენტიფიკაციას, რომელიც არის სავარაუდო ინტელექტუალური უფლების დარღვევის ან საავტორო უფლებების დარღვევის საგანი, ან საჭიროა მოიხსნას მასზე ხელმისაწვდომობა, ან რომელიც უნდა იყოს გამორთული და არსებობს საკმარისი ინფორმაცია იმისათვის რომ შეიძლებოდეს მათი განთავსების ადგილის ლოკალიზება;
დ. არსებობს სათანადო და საკმარისი ინფორმაცია იმისათვის, რომ მომსახურების მიმწოდებელი დაუკავშირდეს საჩივართან დაკავშირებულ მხარეს, ამისათვის საჭიროა, მისამართი, ტელეფონის ნომერი და, თუ ეს შესაძლებელია, ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომლითაც შესაძლებელია დამრღვევ მხარესთან დაკავშირება,
ე. განცხადება იმის თაობაზე, რომ მომჩივან მხარეს აქვს გონივრული ეჭვი, რომ მისი ინტელექტუალური საკუთრება გამოყენებული იყო საავტორო უფლებების მფლობელის ან მისი აგენტის ნებართვის გარეშე ან კანონის მოთხოვნების დარღვევით.
ვ. განცხადება, იმის შესახებ რომ შეტყობინებაში ასახული ინფორმაცია არის ზუსტი და საჯარიმო სანქციის ქვეშ, მომჩივანი მხარე უფლებამოსილია იმოქმედოს ექსკლუზიური უფლების მფლობელის სახელით, რომლის უფლებებიც სავარაუდოდ არის დარღვეული.

ჩვენი DMCA აგენტი პასუხობს მხოლოდ შეტყობინებებს და მოთხოვნებს, რომლებიც შეესაბამება DMCA-ს რეგულაციების მოთხოვნებს. ეწვიეტ ვებგვერდს www.copyright.gov დამატებითი ინფორმაციისთვის.

## 17. ინფორმაცია კალიფორნიის რეზიდენტებისთვის

კალიფორნიის სამოქალაქო კოდექსის 1789.3-ე ქვეპუნქტის თანახმად, ჩვენ ვალდებულნი ვართ, უზრუნველვყოთ კალიფორნიის მოსახლეობა ინფორმაციით მომხმარებლების შემდეგი კონკრეტული უფლებების შესახებ:

ა. SMG სერვისები ეკუთვნის და/ან მათ ახორციელებს: Service Management Group, LLC, 1737 McGee Street, Kansas City, MO 64108. SMG-ის საკონტაქტო ტელეფონის ნომერია 1-800-764-0439;
ბ. თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული, SMG სერვისების მიწოდება ხორციელდება ყოველგვარი საფასურის გარეშე;

გ. SMG სერვისებთან დაკავშირებით საჩივრის შეტანა ან SMG სერვისების გამოყენების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ, Service Management Group, LLC, შემდეგ მისამართზე: მონაცემთა დაცვის ოფიცერი, 1737 McGee Street, Kansas City, MO 64108 ან დაგვიკავშირდით ელექტრონული ფოსტის მისამართზე privacyofficer@smg.com მიუთითეთ თემის ველში "California Resident Request"). თქვენ ასევე შეგიძლიათ წერილობით დაუკავშირდეთ კალიფორნიის მომხმარებელთა მომსახურების დეპარტამენტის მომხმარებელთა მომსახურების განყოფილებას, შემდეგ მისამართზე: 400 R Street, Suite 1080, Sacramento, California 95814 ან ტელეფონით 916.445.1254 ან 800.952.5210.

**18. სხვადასხვა**

ა. წინამდებარე პირობები და კონფიდენციალურობის პოლიტიკა, რომელიც განთავსებულია შესაბამის ვებგვერდებზე, გულისხმობს თქვენსა და SMG-ს შორის არსებულ ურთიერთპატივისცემის შეთანხმებას და დავების გადაჭრის წესებს.

ბ. წინამდებარე პირობები დაწერილია ინგლისურ ენაზე. ინგლისური ენაზე შედგენილ შეთანხმებას ენიჭება უპირატესობა. ამ შეთანხმების ნებისმიერი ვერსია ნებისმიერ სხვა ენაზე იქნება მხოლოდ საინფორმაციო ხასიათის და არ იქნება სავალდებულო რომელიმე მხარისათვის.

გ. ეს პირობები არის და შესაბამისად იქნება სავალდებულო როგორც SMG-ისათვის ასევე თქვენთვის და თქვენი მემკვიდრეებისათვის.

დ. ეს პირობები შეიძლება მიენიჭოს SMG-ის მიერ, მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ მათი მინიჭება SMG-ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

ე. თუ ამ პირობების რომელიმე დებულება არის ან გახდება შეუსრულებელი ან ძალადაკარგული, დანარჩენი დებულებები გააგრძელებენ მოქმედებას ძველი წესით, თითქოს ასეთი შეუსრულებელი ან ძალადაკარგული დებულება არც კი არსებობდა.

ვ. თუ თქვენ ან SMG ვერ ახერხებს მოცემული დოკუმენტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ხოლო მეორე მხარე არ აიძულებს ამ ვალდებულებას შესრულებას, ეს არ შეიძლება მიიჩნეოდეს რაიმე სახის აღსრულების შეუსრულებლობად, და არ წარმოადგენს რაიმე ვალდებულების შეფერხებას და არ აღკვეთს ვალდებულების აღსრულებას სხვა ნებისმიერ შემთხვევაში.

ზ. წინამდებარე პირობებში არ არის ისეთი დებულება რომელიც ამტკიცებს რომ SMG-ი, ან თქვენ, მოქმედებთ როგორც სხვა მხარის აგენტი ან წარმომადგენელი, ან საწარმოების ერთობლიობა ან პარტნიორების გაერთიანება.

თ. თუ SMG ან თქვენ ხართ შეზღუდულები და ვერ ახერხებთ მოცემული დოკუმენტით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, ასეთი მიზეზით დაზარალებული მხარის საქმიანობა გაგრძელდება იმ ვადით რაც საჭიროა ასეთი ვალდებულების შესრულებისათვის.

ი. სათაური და წარწერები მხოლოდ საინფორმაციო მიზნითა არის წარმოდგენილი.

**კითხვები?**

თუ თქვენ გაქვთ რაიმე შეკითხვები ამ მოცემული პირობების დოკუმენტთან ან SMG სერვისებთან დაკავშირებით, დაგვიკავშირდით privacyofficer@smg.com.

თქვენ ასევე შეგიძლიათ, მოგვწეროთ მისამართზე:
Service Management Group, LLC
ადრესატი: მონაცემთა დაცვის ოფიცერი
1737 McGee Street
Kansas City, MO 64108

®/TM სავაჭრო ნიშნები © Service Management Group, LLC 2017. ყველა უფლება დაცულია.